MES 8 23 0001421424

23/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ფიფია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლა:**

გალინა ხუციშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. **სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა:**

ციური გიქორაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

3. **სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა:**

შორენა ახვლედიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა:**

ნინო ბუჯიაშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

5. **სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა:**

მაკა თხელიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

6. **სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლა**

ცირა აბულაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლა:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სალომე აბრამიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ჭიკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა:

ა) ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა:
ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა:
ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ბერიანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვარდო გოგილავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 09 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტ, სოფელ საღოლაშენში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300.
ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ,
პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასდა მეტწილად შესაბამისად. რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროექტის ფარგლებში. სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორია, ნათელი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ადაპტირებული სველი წერტილები და შიდა და გარე სპორტული მოედნები. გარე სპორტული მოედანი საჭიროებდა რეაბილიტაციას. სკოლაში ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას და მოსწავლეები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას კონკურსებში.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში

გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროცესები დაწყებული და რა ეტაპზე იყო.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გალინა ხუციშვილმა, აღნიშნა რომ ისინი Covid- პანდემიამდეც აქტიურად მუშაობდნენ ამ საკითხზე. სწორედ პანდემიამდე ჰქონდათ მიწერილობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან. ამჟამად ისინი მუშაობდნენ სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის საკითხების მოგვარებაზე და ამის შემდეგ, კვლავ აპირებდნენ მიმართვას ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა საკმარისი ფინანსები აღნიშნული პრობლემის მოგვარდებისთვის
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში დაფიქსირებული იყო, რომ სკოლა უნდა ეცადოს აღზარდოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და ასევე ხელი შეუწყოს მოსწავლეში ისეთი უნარების განვითარებას, რომელებიც მიესადაგება საერთაშორისო სტანდარტებს. საბჭოს წევრმა, სკოლის დირექტორს სთხოვა განემარტა, რას გულისხმობდა საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებაში და რა სასწავლო აქტივობებს ახორციელებდნენ ისინი ამისათვის.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობებს სთავაზობდნენ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის და არაფორმალური განათლების ფარგლებში, რაც დაეხმარებოდათ მათ არამხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვრებს გარეთ სწავლის გაგრძელებაში.
საბჭოს წევრმა ნატო გაბოშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლის მისიასთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია, სკოლას დაეკონკრეტებინა მისია და სასკოლოს სასწავლო გეგმა მასზე მოერგო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო მნიშვნელოვანი რჩევები, რომლებიც სკოლას მიეცა მეორე სტანდარტთან, კერძოდ კურიკულუმისა და შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ, რამ განაპირობა სტანდარტის შეფასება, როგორც „შესაბამისი“.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ლედი კუთხაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკების ნიმუშები თითოეული საფეხურისთვის, ამის შემდეგ მათ გასცეს რეკომენდაცია, რომ იგივე გაეკეთებინათ ყველა თემასთან მიმართებით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლამ რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით გამოასწორა ხარვეზები ვიზიტის დასრულებამდე. სკოლას ჰქონდა მზაობა იმისა, რომ ყველა საკითხი მოეყვანა წესრიგში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ციცინო თორიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იყო გარკვეული ხარვეზები, მაგალითად დასაზუსტებელი და შესავსები იყო თემები და ქვეცნებები, რაზეც ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები. ვიზიტის მეორე დღეს სკოლამ წარმოადგინა ყველა საფეხურისთვის თითო ნიმუში, სადაც გათვალისწინებული ჰქონდათ ყველა რეკომენდაცია. ამას დაემატა ინტერვიუების დროს მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილება, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა შესაბამისობაში მოეყვანა კურიკულუმები.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, ასევე დაინტერესდა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მიმართულებით რა კონკრეტულ აქტივობებს ახორციელებდა სკოლა, რაზეც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, მაია ტიტვინიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში უამრავი პროექტი ხორციელდებოდა, საიდანაც ერთი-ერთი იყო „ სკოლა ძალადობის გარეშე“ რომელის

ფარგლებშიც ჩატარდა მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვა ხომ არ იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი, მათ მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ძალადობის ფორმებს და აემაღლებინათ ცნობიერება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტ სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტ სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლას(ს/კ: 240890808) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი საღოლაშენი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი საღოლაშენი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი საღოლაშენი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები:** მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა კერძოდ, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას სწავლა-სწავლების და შეფასების საკითხებში.

2. **სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 1-ელ და 2 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბადიაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 330 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი,მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი გამოვლინა მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტთან მიმართებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 3.4 კომპონენტი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ, სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა სკოლაში ჩამოყალიბებულ კლუბებზე და განხორციელებულ პროექტზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში ეროვნებით ქართველი მოსწავლეების გარდა ასევე სწავლობენ ეროვნებით აზერბაიჯანელი მოსწავლეები. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ქართული ენის შემსწავლელი წრე, რომელიც ეხმარება ეროვნებით აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ენობრივი ბარიერის მარტივად დაძლევასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციაში.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ იყო დეკემბრის თვეში გაფორმებულ ექიმის შრომით ხელშეკრულებაში დაფიქსირებული გაზრდილი შრომითი ანაზღაურება, რომლის ცვლილებაც იანვრის თვიდან შევიდა ძალაში.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ციური გიქორაშვილმა, აღნიშნა რომ ტექნიკური ხარვეზი იყო შრომით ხელშეკრულების თარიღში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იგი წინააღმდეგი იყო აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლას (ს/კ : 238146243) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი,

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სოფელი ბადიაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბადიაური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი :** 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა :** ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები:** პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი.

საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ ოთხივე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სკოლამ ვერ წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას სწავლა-სწავლების და შეფასების საკითხებში.

3. სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15 და 16 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ინჩხურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 200 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა მეტწილად, მეოთხე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ

შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტი 3.6 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა ელენე კალანდაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლაში არაფორმალური განათლებით და სამეწარეო კლუბებით.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, შორენა ახვლედიანმა აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა საერთაშორისო პროექტებთან და აქტიურად ახორციელებდა პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა პირველ სტანდარტზე. მან სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ხედვის, მისიისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სკოლა რა ეტაპზე იმყოფებოდა.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის აღნიშნული დოკუმენტი უკვე შემუშავებული იყო, ხოლო 2023 წლის ბოლომდე იგეგმებოდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, როდის ელოდებოდა სკოლა მდგრადობის დასკვნას.
  დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, შორენა ახვლედიანმა, აღნიშნა, რომ სკოლაში შემოწმებაზე იმყოფებოდნენ ექსპერტები სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან და შენობის მდგრადობის დამადასტურებელ დოკუმენტს სკოლა უახლოეს მომავალში ელოდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შრომითი ხელშეკრულებებით, რომელთა მოწესრიგებაც სკოლას შესაბამისობის გეგმის თანახმად, სექტემბრამდე ჰქონდა განსაზღვრული.
  სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარვეზი მოცემული დროისთვის სრულად აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, მხარი არ დაუჭირა სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლას (ს/კ : 235443926) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები**: პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოდგინა შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და შრომითი ხელშეკრულების ნიმუში.

4. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სიმონიანთხევში, გონარასა და თოლენჯში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლა ჰქონდა სამი დამოუკიდებელი შენობა, თიანეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში. დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევში, სოფელ გორანასა და სოფელ თოლენჯში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა სოფელ სიმონიანთხევში. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისი. მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შეესაბამისად, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლაში უსაფრთხოების საკითხით. მან ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორ ახდენდა კამერების მონიტორზე მეთვალყურეობას ე.წ. „სპეციალურად გადამზადებული პირი“, რომელიც პარალელურ რეჟიმში დასაქმებული იყო პედაგოგის პოზიციაზე და სასწავლო პერიოდში უწევდა გაკვეთილების ჩატარება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სრულფასოვანი მეთვალყურეობა ვერ ხდებოდა და სწორედ ამ მიზეზით მოხდა ექსპერტების მხრიდან შესაბამისი კომპონენტის დახარვეზება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბუჯიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიუჯეტი არ იძლეოდა შესაძლებლობას სკოლის თითოეული შენობა აღეჭურვათ ვიდეო კამერებით და უსაფრთხოებისა და მეთვალყურეობის კუთხით გაეღო დამატებითი ხარჯები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როდის დაიწყო სკოლამ 3.4.1.1. ინდიკატორით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის მოპოვებაზე ზრუნვა და რა მიზეზით არ ჰქონდა სკოლას ამ დროისთვის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნულ კითხვაზე უპასუხა, რომ სკოლა ამ დრომდე ელოდებოდა სამხარაულის ბიუროდან შენობის მდგრადობის დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, მხარი არ დაუჭირა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლას (ს/კ : 232387761) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები** : პირველი და მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე აღეჭურვა სკოლა შესაბამისი რაოდენობის ვიდეო კამერებით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოედგინა შემდეგი სახის დოკუმენტაცია: სკოლის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელენე კალანდაძემ. ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 2 და 3 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვედა საქარაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 146.
ექსპერტის, ელენე კალანდაძის, განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა.
პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან მეტწილად შესაბამისი ვინაიდან ორივე კომპონენტი 1.1 და 1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, რაც განაპირობა 3.6 კომპონენტის, როგორც მეტწილად შესაბამისი. რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა და ექიმის კაბინეტის აღჭურვის პროცესები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაკა თხელიძემ განაცხადა რომ სკოლა შემოწმდა ლევან სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიერ და რამდენიმე დღეში ექნებოდათ დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, რაც შეეხება ექიმის კაბინეტს ის სრულად იყო აღჭურვილი, თუმცა კაბინეტი საჭიროებდა სამედიცინო შირმას, რომლის შეძენაც მოხდებოდა უახლოეს მომავალში.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა რამდენად იყო სკოლაში ინკლუზიური გარემო.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, თუმცა არ იყო მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი რის უზრუნველყოფასაც მოახდენდნენ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 146-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-2^1 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლას (ს/კ:230062044) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 146- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მინიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, სკოლამ 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომელსაც გულისხმობს 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.
საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, კერძოდ, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას სწავლა-სწავლების და შეფასების საკითხებში.

6. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა. მან განაცხადა, რომ სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ოთხ მისამართზე: ქედის მუნიციპალიტეტის

სოფელ ძენწმანში მე-4 ქუჩა N 8, სოფელი ძენწმანი 1 ქუჩა, N14, სოფელი კორომხეთი მე-2 ქუჩა N1 და სოფელი ცხემნა 01 ქუჩა N1. დაწესებულება სოფელ ძენწმანში მე-4 ქუჩა N8 - ში არსებულ სკოლაში ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ხოლო ქედის მუნიციპალიტეტ სოფელ ძენწმანში 1. ქ. N14; სოფელ კორომხეთში მე-2ქ N1; სოფელ ცხემნაში 01 ქ. N1 მისამართებზე არსებულ სკოლებში მხოლოდ დაწყებით საფეხურს.

პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45.

ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა.

პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რაც განაპირობა კომპონენტების 3.1, 3.4 და 3.5 შეფასებამ, როგორც მეტწილად შესაბამისი, რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესაბამისობით, თუმცა მეოთხე სტანდარტის კომპონენტი 4.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისად.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ რამ განაპირობა მეორე სტანდარტის შესაბამისობით შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა სეხნიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის იყო კურიკულუმები, სამოქალაქო კლუბი თავისი წესებითა და პროექტებით. კურიკულუმები იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული, ასევე წარმოადგინეს ყველა საგნისთვის შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი.

ცენტრის წარმომადგენელმა, სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, რომლითაც იუწყებოდა რომ თვითშეფასების კითხვარში სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი ჰქონდა 45, სკოლა შუამდგომლობით მიმართავდა საბჭოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 55-ით განსაზღვრის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეძლებდა, თუ არა სკოლა 55 მოსწავლისთვის გაეწია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება შეძლებდა 55 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანისსაჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 55-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლას(ს/კ : 246765077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 55 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძენწმანი მე-4 ქ. N8; სოფელი ძენწმანი 1. ქ.N14; სოფელი კორომხეთი მე-2 ქ. N1; სოფელი ცხემნა 01 ქ N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძენწმანი მე-4 ქ. N8;

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი**: 2025 წლის ოქტომბრამდე;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა**: დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
- **მონიტორინგის ფარგლები**: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა